პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

ოთხშაბათი, 17 იანვარი, 1951 წ. № 14 (8868). ფასი 20 კაპ.

მთელ რესპუბლიკაში მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო საოლქო თათბირები ერთსულოვნად უჭერენ მხარს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დიდი სტალინის, მისი სახელოვანი თანამებრძოლების, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლების დასახელებას.

წინასაარჩევნო საოლქო თათბირები გადაიქცა ბოლშევიკური პარტიისადმი, ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინისადმი ჩვენი ხალხის უსაზღვრო ერთგულებისა და სიყვარულის ახალ ბრწყინვალე დემონსტრაციად.

მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის უმნიშვნელოვანესი გარანტია

დღითიდღე ფართოვდება და მტკიცდება ხალხთა მასების მოძრაობა მშვიდობის დასაცავად. ბრძოლა ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, რასაც ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის იმპერიალისტთა მმართველი წრეები ამზადებენ, მხოლოდ ყველა ქვეყნის ახეულ მილიონობით ადამიანის სასიცოცხლო საქმე გახდა.

ამერიკელ მტაცებელთა ავაზაკური შეჭრა მშვიდობისმოყვარე კორეაში და მათი აგრესია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ კვლავ და კვლავ ცხადყოფს ყველა ქვეყნის ხალხებისათვის, თუ რა ხერიოზულ საფრთხეს უქადის მშვიდობის საქმეს ვაშინგტონისა და ლონდონის თანამედროვე საგარეო პოლიტიკური კურსი.

ამერიკელი იმპერიალისტები ანგარიშს არ უწევენ კორეაში თავიანთი ავანტიურისტული გეგმების ჩაშლას და ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ახალი სოომარი ავანტიურების კერები შექმნან. ახალი ომის წამომწყებთა სისხლიანი გეგმები დაკავშირებულია გერმანიისა და იაპონიის იმპერიალიზმის აღორძინებასთან. ამიტომ მშვიდობისმოყვარე ხალხთა ერთ-ერთ ცენტრალურ [illegible] ...რების გაყვანა ერთი წლის ვადაში საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკის საწინააღმდეგოდ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მმართველმა წრეებმა დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია ევროპაში თავიანთი პოლიტიკის ღერძად გაიხადეს. ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა რურის მონოპოლისტი მაგნატები მთავარ მოკავშირეებად და დასაყრდენად გაიხადონ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის აგრესიული გეგმების განხორციელებაში. ომის ამერიკელ-ინგლისელი გამჩაღებლები უხეშად არღვევენ პოტსდამის შეთანხმებას, ფეხქვეშ თელავენ ევროპის ხალხთა სასიცოცხლო ინტერესებს, უგულებელყოფენ გერმანელი ხალხის მისწრაფებას მშვიდობისადმი და გამალებით ეწევიან დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმის სამხედრო-სამრეწველო ბაზის აღდგენას, გერმანელ ფაშისტთა ჯარების აღორძინებას.

გერმანიის აგრესიის აღორძინების საფრთხე მთელი ძალით აყენებს მშვიდობისმოყვარე ხალხების წინაშე საკითხს, რომ აუცილებელია გადამწყვეტი ბრძოლა ახალი ომის გამჩაღებელთა დანაშაულებრივი ზრახვებისა და ხრიკების წი- [illegible]

... აქტიურ დახმარებას უწევენ მას. ყველა ქვეყნის კეთილი ნების ადამიანებმა კარგად იციან, რომ ერთიანი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის საძირკვლის ჩაყრით გერმანელი ხალხის პროგრესული ძალები დიდ საქმეს აკეთებენ მთელი ევროპისათვის, უზრუნველყოფენ მის მტკიცე მშვიდობას.

ხელმძღვანელობს რა ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების დაცვის ინტერესებით, საბჭოთა კავშირი მტკიცედ მოითხოვს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დაუყოვნებლივ დადებას. ამ ხელშეკრულებამ პოტსდამის შეთანხმების შესაბამისად უნდა გაითვალისწინოს გერმანიის სახელმწიფოს ერთიანობის აღდგენა და გერმანიიდან ყველა სახელმწიფოს საოკუპაციო ჯა- [illegible] ...დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ გროტევოლის მოწოდებას გერმანიის ეროვნული გაერთიანებისაკენ.

რევანშისტული გერმანიის იმპერიალიზმის აღორძინების წინააღმდეგ ხალხთა ბრძოლა მშვიდობის მომხრეთა უმნიშვნელოვანესი საბრძოლო ამოცანაა. იწყება ამ ბრძოლის ყველაზე პასუხსაგები ეტაპი. შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ მშვიდობის ასეულ მილიონობით მომხრე უფრო მეტი ენერგიითა და სიმტკიცით იბრძოლებს ახალი ომის ამერიკელ-ინგლისელ გამჩაღებელთა ვერაგული ზრახვების წინააღმდეგ, ევროპასა და მთელ მსოფლიოში მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის.

„პრავდის“ 16/I მოწინავე

ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტში

15 იანვარს მოსკოვში ნ. ს. ტიხონოვის თავმჯდომარეობით შედგა ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტის პლენუმი.

სექციების თავმჯდომარეებმა პლენუმს წარუდგინეს ინფორმაცია 1950 წლისათვის სტალინური პრემიების მოსაპოვებლად წარდგენილ ნაშრომთა შემოსვლისა და განხილვის მიმდინარეობის შესახებ.

კომიტეტმა მიიღო ლიტერატურის, ფერწერის, ხუროთმოძღვრების, კინოს, თეატრალური და მუსიკალური ხელოვნების 300-ზე მეტი ნაწარმოები.

კომიტეტის წევრები, რომლებიც გაემგზავრნენ ჩვენი ქვეყნის ქალაქებში, ეცნობიან ადგილობრივი თეატრების დადგმებს, არქიტექტურისა და სკულპტურის ნაწარმოებებს.

ნაშრომების მიღება გრძელდება.

(საკდესი).

ქალაქ თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირი

სტალინის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლებმა ერთხმად გადაწყვიტეს მხარი დაუჭირონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის, ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის, ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას დასახელებას

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენა და დარბაზი საზეიმოდ არის მორთული. ალისფერ მატერიაზე ბრწყინავს გულში ჩამწვდომი სიტყვები: „დიდება დიდ სტალინს!“. თეატრის დარბაზში არიან თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლები — სტახანოველები, სოციალისტური შრომის ნოვატორები, მეცნიერი მუშაკები, ექიმები, პედაგოგები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

წინასაარჩევნო საოლქო თათბირს შესავალი სიტყვით ხსნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების სტალინის № 11 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის დირექტორი ამხ. მ. კობახიძე.

თათბირის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები: ზ. ჩხუბიანიშვილი, ე. ჩერქეზია, გ. ცქიტიშვილი, თ. ქუთათელაძე, მ. კობახიძე, გ. ქომეთიანი, ა. ჩხარტიშვილი, გ. მარუაშვილი, ბ. გონიტაშვილი და სხვები.

შემოვიდა წინადადება საპატიო პრეზიდიუმის არჩევის შესახებ. თათბირის მონაწილენი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ სტალინის მეთაურობით, აგრეთვე ამხანაგ კანდიდ ჩარკვიანს.

პირველი სიტყვა ეძლევა თბილისის მეორე სამშენებლო ქარხნის ინჟინერს ამხ. თ. ჯავახიშვილს.

— ჩვენი ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა, — თქვა მან, — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად უდიდესი აღფრთოვანებით დაასახელეს ხალხთა დიდი ბელადი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი. ამხანაგი სტალინი მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის ბრძოლის, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის გენიალური ორგანიზატორია, ყველა ქვეყნის მშრომელთა იმედი და დროშაა.

— მე ვფიქრობ, — აცხადებს დასასრულ ამხ. თ. ჯავახიშვილი,—გამოვხატავ ყველა აქ დამსწრის სურვილს, თუ მოგმართავთ თხოვნით მხარი დაუჭიროთ ჩვენი ქარხნის კოლექტივის წინადადებას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დიდი სტალინის დასახელების შესახებ. **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში. თათბირის მონაწილენი ფეხზე დგებიან. გაისმის მისალმების შეძახილები დეპუტატობის საყოველთაო - სახალხო კანდიდატის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად).**

ტრიბუნაზეა ლუდის მეორე ქარხნის წარმომადგენელი ამხ. გუჯაბიძე. მან მხურვალედ დაუჭირა მხარი ამხ. თ. ჯავახიშვილის წინადადებას და თათბირს გაუზიარა ქარხნის კოლექტივის სურვილი—ხმა მისცენ დიდ ბელადსა და მასწავლებელს, კომუნიზმის გენიალურ ხუროთმოძღვარს მშობლიურ სტალინს.

სიტყვას ამბობს საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის მინისტრის მოადგილე ამხ. შ. აფაქიძე.

— რამდენიმე დღის წინათ,—ამბობს იგი,—ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა დიდი სტალინის თანამებრძოლი, მშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის დაუღალავი მებრძოლი ამხანაგი ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი. დარწმუნებული ვარ, ამხანაგ მოლოტოვის კანდიდატურას მხარს დაუჭერს სტალინის საარჩევნო ოლქის ყველა მშრომელი. **(ხანგრძლივი ტაში).**

მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფესორმა ვ. კაკაბაძემ განაცხადა:

— ჩვენ, კიროვის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის მუშაკებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად აღფრთოვანებით დავასახელეთ ლენინის ერთგული მოწაფე, დიდი სტალინის თანამებრძოლი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია. **(ხანგრძლივი ტაში).**

ორატორმა მოუწოდა თათბირის მონაწილეებს მხარი დაუჭირონ დიდი სტალინის, ამხანაგ მოლოტოვისა და ამხანაგ ბერიას კანდიდატურებს.

მგზნებარე სიტყვები წარმოთქვეს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა სტალინური პრემიის ლაურეატმა ი. სუხიშვილმა, საბჭოთა კავშირის გმირმა ტარანოვსკიმ, ლიმონათის ქარხნის სტახანოველმა ბ. გონიტაშვილმა, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფესორმა ტერ-ხაჩატუროვმა, კანორეჯისორმა სტალინური პრემიის ლაურეატმა ს. დოლიძემ. მათი სიტყვები მკაფიოდ გამოხატავდნენ თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა სურვილს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ერთსულოვნად მისცენ ხმა ამხანაგ სტალინს და მის თანამებრძოლებს—ამხანაგებს ვ. მ. მოლოტოვსა და ლ. პ. ბერიას.

თათბირმა დიდი აღფრთოვანებით მიიღო მიმართვა საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებისადმი.

ნდობით აღჭურვილ პირებად არჩეულ იქნა 9 კაცი.

თათბირმა მქუხარე ტაშით მისალმება გაუგზავნა ხალხთა დიდ ბელადს ი. ბ. სტალინს და ამხანაგებს — ვ. მ. მოლოტოვს და ლ. პ. ბერიას.

რეზოლუცია

ქალაქ თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის მშრომელთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების წინასაარჩევნო საოლქო თათბირისა

1. ქალაქ თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საერთო კრებების, კომუნისტური ორგანიზაციების, პროფესიული კავშირებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენელთა საოლქო წინასაარჩევნო თათბირი ერთსულოვნად უჭერს მხარს საქართველოს კიროვის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის, თბილისის ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის, თბილისის ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის, თამბაქოს მეორე ფაბრიკის, საპროტეზო ქარხნის, მეორე სამშენებლო ქარხნის, მეორე ლუდის სახდელი ქარხნის და სხვა საწარმოებისა და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა საერთო კრებების გადაწყვეტილებებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ხალხთა დიდი ბელადის **იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის** და მისი თანამებრძოლების ამხანაგ **ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვისა** და ამხანაგ **ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას** დასახელების შესახებ ქალაქ თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქში.

2. ქალაქ თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირი სთხოვს ამხანაგ **ი. ბ. სტალინს**, ამხანაგებს **ვ. მ. მოლოტოვს** და **ლ. პ. ბერიას** დათანხმდნენ კენჭი იყარონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ქალაქ თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქში.

ქალაქ თბილისის მოლოტოვის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირი

ქალაქ თბილისის მოლოტოვის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის, ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის, ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას დასახელებას

საქართველოს დედაქალაქის—თბილისის მოლოტოვის საარჩევნო ოლქის [illegible]

[illegible] მეცნიერ მუშაკებს, მეცნიერული აზრის წარმომადგენლებს ისეთი ფართო [illegible]

[illegible] საწიგნის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიული ორგანიზაციის წარმომადგენელმა [illegible]

[illegible] ხელა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

[illegible]

წინასაარჩევნო საოლქო თათბირმა მისალმებებით მიმართა ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს და მის თანამებრძოლებს ამხანაგ მოლოტოვს და ამხანაგ ბერიას. მისალმებათა ტექსტების გამოქვეყნებას თათბირის მრავალრიცხოვანი მონაწილეები უდიდესი აღფრთოვანებითა და დიდი სტალინისადმი მიმართული ოვაციებით შეხვდნენ.

რეზოლუცია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის მოლოტოვის საარჩევნო ოლქის მშრომელთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების წინასაარჩევნო საოლქო თათბირისა

1. ქალაქ თბილისის მოლოტოვის საარჩევნო ოლქის ფაბრიკების, ქარხნების [illegible] მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მოსამ[სახურეთა], [illegible] კომუნისტური ორგანიზაციების, პროფესიული [ორ]განიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების [illegible] [წინასაარ]ჩევნო საოლქო თათბირი მხურვალედ უჭერს [მხარს] [illegible] [მეცნი]ერებათა აკადემიის ჰემოტოლოგიის ინსტი[ტუტის] [illegible] სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის, [illegible] თბილისის თბოელექტროცენტრალის, [illegible] **იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის** [illegible] **ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვისა** და **ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას** დასახელების შესახებ.

2. ქალაქ თბილისის მოლოტოვის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირი სთხოვს ამხანაგ **იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს** და ამხანაგებს — **ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვსა** და **ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას** დათანხმდნენ კენჭი იყარონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ქალაქ თბილისის მოლოტოვის საარჩევნო ოლქში.

ქალაქ თბილისის 26 კომისრის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო საოლქო თათბირი

26 კომისრის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლებმა ერთხმად გადაწყვიტეს მხარი დაუჭირონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისა და ამხანაგ გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვის დასახელებას

სომხური დრამის სახელმწიფო თეატრში ქალაქ თბილისის 26 კომისრის საარჩევნო ოლქის წინასაარჩევნო საოლქო თათბირზე შეიკრიბნენ ფაბრიკა-ქარხნების, სასწავლებლების, დაწესებულებების, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების, ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

წინასაარჩევნო საოლქო თათბირი გახსნა 26 კომისრის № 46 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. რ. ლეჟავამ.

თათბირის მონაწილენი საპატიო პრეზიდიუმში დიდი აღფრთოვანებით ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დიდი სტალინის მეთაურობით, აგრეთვე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ კ. ჩარკვიანს.

სიტყვა ეძლევა სატრიკოტაჟო ფაბრიკა „დინამოს" შემკვრავი საამქროს უფროსს ამხ. დ. კალაშნიკოვას.

—ჩვენი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივმა, — ამბობს ამხ. კალაშნიკოვა,— საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელა საბჭოთა ხალხის დიდი ბელადი და მასწავლებელი, ჩვენი ყველა გამარჯვების გენიალური ორგანიზატორი, მშვიდობის დიდი მედროშე ამხანაგი სტალინი. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირი მსოფლიოში მოწინავე სახელმწიფო გახდა, უმაგალითო წარმატებებს მიაღწია სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. ამხანაგ სტალინის გენიალური წინამძღოლობით საბჭოთა ხალხი განუხრელად მიდის წინ კომუნიზმის მწვერვალებისაკენ. ყოველი ჩვენგანი უსაზღვროდ მოხარულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ერთსულოვნად მისცეს ხმა ჩვენი ბედნიერების შემოქმედს ამხანაგ სტალინს.

—ჩვენი ფაბრიკის კოლექტივმა დამავალა, — განაგრძობს ამხ. კალაშნიკოვა, — გადმოგცეთ მისი ერთსულოვანი აზრი, რომ ხმა მოსცეთ ქართველი ხალხის პირველ კანდიდატს, დიდ სტალინს! **(დარბაზში მქუხარე ოვაციაა. ყველანი ფეხზე დგებიან. გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს მშობლიურ ამხანაგ სტალინს").**

ტრიბუნაზეა რკინიგზის ნავთლუღის სადგურის უფროსი ამხ. ვ. არევაძე, რომელიც ამბობს:

— რკინიგზის ნავთლუღის კვანძის კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელა დიდი სტალინის თანამებრძოლი გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი. **(ხანგრძლივი ტაში. გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინის თანამებრძოლს — გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვს!").**

სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ ხანგრძლივი ნაყოფიერი შრომით ამხანაგმა მალენკოვმა საბჭოთა კავშირის მშრომელთა მხურვალე სიყვარული და უდიდესი პატივისცემა დაიმსახურა.

რკინიგზის ნავთლუღის კვანძის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა სახელით, — ამთავრებს სიტყვას ამხ. არევაძე, — რწმენას გამოვთქვამ, რომ 26 კომისრის № 46 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები ერთსულოვნად დაუჭერენ მხარს ჩვენს წინადადებას.

ტრიბუნაზე ადის ამხ. ფ. სოლოგუბი.

— დეპუტატობის თავის პირველ კანდიდატად, — მიმართავს იგი შეკრებილთ, — ქართველი ხალხი ასახელებს ამხანაგ სტალინს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს შორის ჩვენ გვსურს ვიხილოთ ამხანაგ სტალინის თანამებრძოლნი და მოწაფეები. ჩვენი სურვილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩეულ იქნას მტკიცე სტალინელი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი. დარწმუნებული ვარ ამხანაგ მალენკოვის კანდიდატურას მხარს დაუჭერს 26 კომისრის საარჩევნო ოლქის უკლებლივ ყველა მშრომელი.

ახალგაზრდა ამომრჩეველთა სახელით სიტყვას ამბობს ვაკეთა 24-ე საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოწაფე ო. ზაუტაშვილი.

ტრიბუნაზე ერთმანეთს სცვლიან ვაკეთა 24-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი გ. ჯობაძე, კერამიკული კომბინატის სტახანოველი მუშა გ. ბადალიანი, რკინიგზის ნავთლუღის სადგურის ინჟინერი ვ. ჭანტურია, რომლებიც გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვს ახასიათებენ როგორც ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი თავდადებულ ბოლშევიკს, ერთგულ სტალინელს და მოუწოდებენ საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებს ერთსულოვნად დაუჭირონ მხარი მის კანდიდატურას.

წინასაარჩევნო საოლქო თათბირმა მიიღო რეზოლუცია და მიმართვა ოლქის ყველა ამომრჩევლისადმი.

თათბირმა აირჩია ნდობით აღჭურვილი პირები.

წინასაარჩევნო საოლქო თათბირმა ერთხმად მიიღო მისალმება ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი და ამხანაგ გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვისადმი.

რეზოლუცია

ქალაქ თბილისის 26 კომისრის საარჩევნო ოლქის მშრომელთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების წინასაარჩევნო საოლქო თათბირისა

1. ქალაქ თბილისის 26 კომისრის საარჩევნო ოლქის საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საერთო კრების, კომუნისტური ორგანიზაციების, პროფესიული კავშირების, კომკავშირული ორგანიზაციების და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენელთა საოლქო წინასაარჩევნო თათბირი ერთსულოვნად უჭერს მხარს ნავთლუღის რკინიგზის კვანძის, მაკარონის ფაბრიკის, კერამიკული კომბინატის, სატრიკოტაჟო ფაბრიკა „დინამოს" და სხვა საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საერთო კრებების გადაწყვეტილებებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისა** და მისი ერთგული თანამებრძოლის **გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვის** დასახელების შესახებ ქალაქ თბილისის 26 კომისრის № 46 საარჩევნო ოლქში.

2. ქალაქ თბილისის 26 კომისრის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირი სთხოვს ამხანაგ **ი. ბ. სტალინს** და ამხანაგ **გ. მ. მალენკოვს** დათანხმდნენ კენჭი იყარონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ქალაქ თბილისის 26 კომისრის საარჩევნო ოლქში.

ქალაქ თბილისის ბერიას საარჩევნო ოლქი

ბერიას საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს მხარი დაუჭირონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისა და კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანის დასახელებას

ძერჟინსკის სახელობის კლუბში შედგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის ბერიას საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო საოლქო თათბირი. თათბირზე მოვიდნენ [illegible]

— საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები,—თქვა მან,—ემთხვევა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 30 წლისთავს. ქართველი ხალხი უდიდესი მიღწევებით ხვდება ამ დიად დღესასწაულს. [illegible]

[illegible] საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა შესანიშნავი მიღწევები მოიპოვეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების ფრონტზე. საბჭოთა საქართველოს კულტურული ზრდისა და განვითარების ერთ-ერთ შესანიშნავ მაგალითს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია წარმოადგენს.

ეჭვი არ მეპარება, — ამბობს ა. ბარამიძე, — რომ წინასაარჩევნო საოლქო თათბირის მონაწილენი მხარს დაუჭერენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ კ. ჩარკვიანის დასახელებას.

თათბირზე პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა თამარ ბაქრაძემ, [illegible]

[illegible] უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყარონ ბერიას № 27 საარჩევნო ოლქში.

მქუხარე ტაშით მიღებულ იქნა მისალმება დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი.

მისალმება გაეგზავნა აგრეთვე საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელს ამხანაგ კ. ჩარკვიანს.

წინასაარჩევნო თათბირმა მიიღო მიმართვა ოლქის ყველა ამომრჩევლისადმი. თათბირმა აირჩია ნდობით აღჭურვილი პირები.

რეზოლუცია

ქალაქ თბილისის ბერიას № 27 საარჩევნო ოლქის მშრომელთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების წინასაარჩევნო საოლქო თათბირისა

1. ქალაქ თბილისის ბერიას № 27 საარჩევნო ოლქის საწარმოებისა და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა საერთო კრებების, კომუნისტური ორგანიზაციების, პროფესიული კავშირების, კომკავშირული ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენელთა წინასაარჩევნო საოლქო თათბირი ერთსულოვნად უჭერს მხარს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს, სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორის, ფინანსთა სამინისტროს, კომუნალური მეურნეობის სამინისტროს და პროფკავშირთა სახლის მუშაკთა საერთო კრებების გადაწყვეტილებას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ხალხთა ბელადის დიდი **სტალინისა** და საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის **კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანის** დასახელების შესახებ ქალაქ თბილისის ბერიას № 27 საარჩევნო ოლქში.

2. ქალაქ თბილისის ბერიას № 27 საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო საოლქო თათბირი სთხოვს ამხანაგ **იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს** და ამხანაგ **კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანს** დათანხმდნენ კენჭი იყარონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ქალაქ თბილისის ბერიას № 27 საარჩევნო ოლქში.

მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო საოლქო თათბირები

თელავი

შედგა თელავის სტალინის № 164 საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო საოლქო თათბირი.

თათბირს შესავალი სიტყვით ხსნის ექიმი სოლომონ ქურციკაშვილი.

პირველ სიტყვას ამბობს თელავის სტალინის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, [illegible]

[illegible] თველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დიდი სტალინის დასახელებით გამოხატეს თავიანთი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება მშობლიური ბოლშევიკური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი და გენიალური ბელადის დიდი სტალინისადმი.

ქარხნის კოლექტივის სახელით მოგიწოდებთ ერთსულოვნად დაუჭიროთ მხარი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის [illegible]

[illegible]

სოხუმი

[illegible]

ბათუმი

15 იანვარს ბათუმის სახელმწიფო თეატრში შედგა მოლოტოვის საარჩევნო № 329 საარჩევნო ოლქის [illegible]

[illegible]

გორი

საარჩევნო საოლქო თათბირები, რომლებიც გაიმართა როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

უდიდესი აღმავლობით ჩაიარა წინასაარჩევნო საოლქო თათბირმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების გორის სტალინის № 73 საარჩევნო ოლქში. თათბირი შედგა პედაგოგიური ინსტიტუტის საზეიმოდ მორთულ კლუბში.

ტრიბუნაზე ადის გორის ბარათაშვი- [illegible]

[illegible]

სტალინირი

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის XX საქალაქო პარტიული კონფერენცია

კამათი საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო

ამხ. ა. გაბუნიას სიტყვა

(სამგორწყალმშენის უფროსი)

ამხანაგ სტალინის მითითებით საქართველოში წარმოებს ბუნების გარდაქმნასთან დაკავშირებული დიდი მუშაობა. ამ სამუშაოებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა.

გასულ წელს სამგორწყალმშენმა გეგმა 110,2 პროცენტით შეასრულა. სამგორჰესმშენის ტრესტის კოლექტივმა წარმატებით შეასრულა 1950 წლის გეგმა ზემო მაგისტრალური არხის სათავის ნაგებობისა და ტრასის რთული ნაწილის მშენებლობის დარგში.

ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა მთლიანად უნდა დამთავრდეს 1953 წელს. ამ დროისათვის შედგება პროექტი და დაიწყება ეგრეთ წოდებული ქვემო სამგორის მშენებლობა, რომლის დამთავრებაც განზრახულია 1957 წელს.

სამშენებლო სამუშაოთა დიდი მოცულობა და მათი მექანიზაციის ზრდა მოითხოვს სერიოზული ყურადღება მიექციოთ მშენებელთა კვალიფიციური კადრების მომზადებას. ამ საქმეში მიღწეულია გარკვეული წარმატებანი. შარშან მომზადდა 5 სკრეპერისტი, 10 ბულდოზერისტ-ტრაქტორისტი, 16 ექსკავატორის მემანქანე, 10 მემანქანის თანაშემწე, 190-მდე მებეტონე, მეარმატურე, დურგალი, კალატოზი. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. მშენებელთა მომზადება წელსაც უნდა განვაგრძოთ.

მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიეთ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში. მესამე და მეოთხე სამშენებლო კანტორებში შექმნილია პარტიული ორგანიზაციები. აქ მომუშავე კომუნისტთა რიცხვი მნიშვნელოვნად გადიდდა, გაუმჯობესდა კომუნისტებისა და უპარტიო მშენებლების მარქსისტულ-ლენინური განათლების საქმე.

ამ უკანასკნელ დროს დიდად გაიზარდა კომუნისტების ავანგარდული როლი წარმოებაში. მაგალითად, მებეტონეთა ბრიგადები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ კომუნისტები ამხ. ბზიშვილი და დრიაშვილი, ყოველდღიურ დავალებას 165-170 პროცენტით ასრულებენ. კომუნისტები არაბიძე, გვარამე, მათიაშვილი და სხვები დიდ ახსნაგანმარტებითს მუშაობას ეწევიან მშენებლობაზე მოსულ კოლმეურნეთა შორის, ეხმარებიან მათ საწარმოო დავალებათა შესრულებაში.

სამგორწყალმშენის კოლექტივის წინაშე მდგომი დიდი ამოცანები მოითხოვენ მშენებელთა შორის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონის უფრო ამაღლებას. მთელი რიგი კანტორებისა და უბნების პარტიული ორგანიზაციები კი ჯერ კიდევ სუსტად იბრძვიან შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, ცუდად ხელმძღვანელობენ პროფკავშირულ ორგანიზაციებს, ვერ მიაღწიეს იმას, რომ სისტემატურად ამოწმებდნენ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებას, ზრუნავდნენ მუშათა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის.

ყველა ეს ნაკლი სწრაფად უნდა აღმოვფხვრათ, წარმატებით შევასრულოთ ჩვენს წინაშე დასახული დიდი ამოცანა.

ამხ. ვ. როინიშვილის სიტყვა

(ვარკეთილის რაიონის თელეთის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე)

გასული წლის 10 ოქტომბერს გაერთიანდნენ ზემო თელეთის კოლმეურნეობა „იმედი" და ქვემო თელეთის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობა. მინდა აღვნიშნო პირველი წარმატებანი, რაც მოვიპოვეთ კოლმეურნეობის გამსხვილების შემდეგ განვლილი მცირე დროის განმავლობაში.

1949 წელს ორივე კოლმეურნეობას ეთესა 500 ჰექტარი ხორბალი, 1950 წელს კი, გაერთიანების შემდეგ, დაითესა 825 ჰექტარი, ანუ 325 ჰექტარით მეტი, ვიდრე 1949 წელს, და გეგმა შესრულდა 170 პროცენტით.

შარშან მივიღეთ ხორბლის მოსავალი 510 ტონის, ხოლო ქერისა — 218 ტონის რაოდენობით, ე. ი. საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 10 ცენტნერი ხორბალი და 11.2 ცენტნერი ქერი.

საშემოდგომო თესვა ჩავატარეთ გაცილებით მაღალ აგროტექნიკურ დონეზე, ვიდრე 1949 წელს. დროზე გამოვყავით სათესლე ნაკვეთები იმ ფართობებიდან, რომლებიც კარგად დამუშავებულია და დათესილია პირველი კატეგორიის მაღალხარისხოვანი თესლით.

მთელ რიგ ღონისძიებებს ვახორციელებთ იმისათვის, რომ 1951 წელს არათუ მთლიანად, არამედ დიდი გადაჭარბებითაც შევასრულოთ ხორბლის მოსავლიანობის გეგმა, თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მივიღოთ სულ მცირე 16 ცენტნერი ხორბალი.

აქვე უნდა ითქვას, რომ კოლმეურნეობას არა აქვს საწყობები. მათი აშენება ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა.

მართალია, კოლმეურნეობამ მეცხოველეობის სულადობის გეგმები გადაჭარბებით შეასრულა, მაგრამ პირუტყვის პროდუქტიულობა ჯერ კიდევ დაბალია. 1950 წელს ერთ საფურაქე ძროხაზე მიღებულია 800 ლიტრი რძე. ჩვენ ვითვალისწინებთ 1951 წლისათვის ერთ საფურაქე ძროხაზე მივიღოთ 1.200 ლიტრი რძე, უკლებლივ შევინარჩუნოთ ხამატი, მივიღოთ ერთ ცხვარზე საშუალოდ 4 კილოგრამი მატყლი, ხოლო ერთ დედაცხვარზე — 6 კილოგრამი ყველი, რისთვისაც საჭიროა შევქმნათ მტკიცე საკვები ბაზა და უზრუნველვყოთ პირუტყვი კარგად მოწყობილი შესაფერისი სადგომებით.

პროდუქტიულობის ზრდის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს პირუტყვის ჯიშობრივ შემადგენლობას. ჩვენი ამოცანაა პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის არსებითი გაუმჯობესება.

კოლმეურნეობაში მნიშვნელოვანი ფართობი უჭირავს ბოსტნეულს. წელს გაცილებით უკეთესი პირობებია ბოსტნეულის მოსავლის გადიდებისათვის, ვიდრე გასულ წლებში, რის შედეგადაც საშუალოდ ჰექტარზე, ნაცვლად 73 ცენტნერისა, მივიღებთ 150 ცენტნერს და სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩავაბარებთ სულ ცოტა 50 ტონა ბოსტნეულს.

კოლმეურნეობა მზად არის საგაზაფხულო თესვისათვის.

კოლმეურნეობის გამსხვილება სოფლის კეთილმოწყობის გაუმჯობესების უკეთეს პირობებს ქმნის. საკოლმეურნეო მშენებლობის განყოფილებასთან ერთად ამჟამად ჩვენ ვმუშაობთ მოედნების, კანტორისა და პარკების დაგეგმვაზე. პირველ რიგში ხელი მოვკიდეთ სოფლის ელექტროფიკაციასა და რადიოფიკაციას. კოლმეურნეთა უმრავლეს ოჯახებში გაყვანილია რადიოქსელი. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მთლიანად დავამთავრებთ სოფლის ელექტროფიკაციას.

ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ჩვენი კოლმეურნეობა სანიმუშო გახდეს როგორც მარცვლეულის მოსავლიანობის და პროდუქტიულობის ზრდის, ისე სოფლის კეთილმოწყობის მხრივ.

ამხ. ა. თევზაძის სიტყვა

(ტრესტ „თბილქალაქპროექტის" მმართველი)

განვლილი ორი წლის მანძილზე საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტრესტმა „თბილქალაქპროექტმა" დიდი საპროექტო-საძიებო სამუშაოები შეასრულა. დამთავრდა ქალაქის უმნიშვნელოვანესი მაგისტრალების — პლეხანოვის პროსპექტისა და მარჯანიშვილის ქუჩის გადაკეთებაზე საცხოვრებელი სახლების დაპროექტება. წარმატებით გადაიჭრა სტალინის რაიონში გრუნტის წყლების დონის დაწევის ამოცანა.

დამპროექტებლებმა დიდი შრომა მოახმარეს ჩელუსკინელთა სახელობის ხიდიდან ბარათაშვილის სახელობის ხიდამდე სანაპიროს მშენებლობას. დამთავრდა აგრეთვე მშენებლობის პროცესში მყოფი ბულაჩაურის წყალსადენის ცალკეული კვანძების, ლოტკინისა და საპროექტო ქუჩების მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ღვარსაშვები სისტემების და ქალაქის რაიონებში ღვარსაშვებ და ამოსაშრობ ღონისძიებათა დაპროექტება.

დიდი სამუშაოები შესრულდა ვაკის ახალი პარკის, ფიზკულტურის ინსტიტუტის, დელისის სახელმწიფო ჰიპოდრომის, სანაპიროზე ფიზკულტურის პარკის საცურაო აუზების, საზოგადოება „ნაუკას" სტადიონის პროექტების შესადგენად, სასტუმრო „პალასის" მუზეუმად გადაკეთების დასაპროექტებლად და სხვ.

ჩვენი მუშაობის მთავარი ნაკლი ის არის, რომ ჯერ კიდევ არა გვაქვს პერსპექტიული დაპროექტების პრაქტიკა. ხშირად დაპროექტება და მშენებლობა ერთდროულად წარმოებს. ეს აუცილებლად არღვევს სამშენებლო სამუშაოთა თანმიმდევრობას, იწვევს იერიშობანას დაპროექტებაშიც და მშენებლობაშიც.

ჩვენ ყველა საჭირო ზომას მივიღებთ იმისათვის, რომ აღმოვფხვრათ ეს ნაკლოვანებანი, უკეთ ვიმუშაოთ დამპროექტებლებთან, რომელთა უმრავლესობა ახლახან უმაღლეს სასწავლებელდამთავრებული ახალგაზრდა ინჟინრებია.

ტრესტ „თბილქალაქპროექტის" კოლექტივში ბევრი ენთუზიასტია, რომლებსაც უყვართ თავიანთი საქმე და მუშაობაში საჭირო შემოქმედებითს ინიციატივას იჩენენ. ეჭვი არ არის, რომ ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ყოველდღიური დახმარებით ჩვენი კოლექტივი ღირსეულად გაართმევს თავს დიდ და საპატიო ამოცანას, რომელსაც მას აკისრებენ პარტია და მთავრობა.

ამხ. ი. ჩოჩიას სიტყვა

(პარტიის კიროვის რაიკომის მდივანი)

კიროვის რაიონის სამრეწველო საწარმოებმა 1950 წლის გეგმა 103 პროცენტით შეასრულეს.

რაიონის 24 საწარმოდან წლიური საწარმოო პროგრამა ვერ შეასრულა მხოლოდ № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკამ, რომლის ცუდი მუშაობა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა მკაცრად და სავსებით სამართლიანად გააკრიტიკა საანგარიშო მოხსენებაში კონფერენციისადმი.

რაიონის 20 საწარმოო არტელიდან ხუთმა გასული წლის გეგმა ვერ შეასრულა.

მიმდინარე წელს კიროვის რაიონში არ უნდა იქნეს არც ერთი ისეთი საწარმო, არც ერთი არტელი, რომელიც გეგმას არ ასრულებდეს. სამეურნეო ხელმძღვანელთა, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივანთა და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების თავმჯდომარეთა რაიონულ თათბირზე, რომელიც პარტიის რაიკომში მოეწყო, განხილულ იქნა საკითხი იმის შესახებ, რომ გეგმები 1951 წლის პირველი დღეებიდანვე გეგმაშეწონილად და რიტმულად სრულდებოდეს. ჩვენ დავავალეთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს უზრუნველყონ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ნედლეულისა და დამხმარე მასალების ეკონომიისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, თვითღირებულების შემცირებისა და საწარმოთა რენტაბელობის ზრდისათვის.

პასუხისმგებლობა ამ ამოცანების შესრულებისათვის მნიშვნელოვანწილად ეკისრება რაიკომის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილებას. საჭიროა აღინიშნოს, რომ მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილებებს, რომლებიც შედარებით დიდი ხანი არ არის, რაც რაიკომებთან შეიქმნენ, ჯეროვანი დახმარება არ ეწევათ. სასურველია, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილება უფრო ხშირად იწვევდეს ამ განყოფილებათა მუშაკების თათბირებს და ამ თათბირებზე მუშავდებოდეს გამოცდილების ურთიერთგაზიარების ღონისძიებანი, ირჩეოდეს საწარმოთა სამეურნეო ცხოვრებისადმი ხელმძღვანელობის პრაქტიკული საკითხები.

პარტია, ამხანაგი სტალინი გვასწავლიან, რომ კრიტიკასა და თვითკრიტიკას უნდა ვეწეოდეთ არა შემთხვევიდან შემთხვევამდე, არამედ მუდმივად. მეტი წილი პარტიული ორგანიზაციების კომუნისტები ახლა უფრო გაბედულად და გადაჭრით გამოდიან ნაკლოვანებათა კრიტიკით. მაგრამ ცალკეული პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები გულგრილად უვლიან გვერდს სერიოზულ დარღვევებს, ურიგდებიან სამეურნეო ხელმძღვანელთა ცუდ მუშაობას, ჩქმალავენ მათს ნაკლოვანებებს.

1-ლი სახელმწიფო მუსიკალური სასწავლებლის ყოფილი დირექტორი ევმენოვი არღვევდა საფინანსო დისციპლინას, უხეშად ეპყრობოდა მოსწავლეებს. პარტიულ ორგანიზაციას და მის მდივანს ამხ. ბახტაძეს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდათ ეს, მაგრამ დუმდნენ.

აი მეორე მაგალითიც. თბილისის წყალსადენის მე-5 კანტორის ყოფილი უფროსი ბიძინაშვილი უკანონოდ ახდევინებდა მობინადრეებს დიდ თანხებს წყალსადენის მილების რემონტისა და დადგმისათვის. პარტიული ორგანიზაციის მდივანი ჩარგეიშვილი, ნაცვლად იმისა, რომ გამოერკვია ეს ბოროტმოქმედება, ბიძინაშვილის თანამონაწილე გახდა. ორივემ, რასაკვირველია, საკადრისი სასჯელი მიიღო.

ასეთი ფაქტების არსებობა მოწმობს, რომ პარტიის რაიკომი ჯერ კიდევ სუსტად ზრდის კომუნისტებს, სუსტად უნერგავს მათ ნაკლოვანებებისადმი შეურიგებელი დამოკიდებულების სულისკვეთებას, რომ ჩვენ კიდევ ბევრი უნდა ვიმუშაოთ იმისათვის, რომ ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა ფართოდ გაშლილი იყოს ყოველი პირველადი პარტიული ორგანიზაციის პრაქტიკულ საქმიანობაში.

ამხ. რ. აგლაძის სიტყვა

(საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი)

ამხანაგ კ. ჩარკვიანის მოხსენებაში აღნიშნული იყო ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის მიერ გაწეული მუშაობა მაგარ შენადნობთა გამოდნობის უფრო სრულყოფილი მეთოდის შემუშავებისა და ღარიბი მანგანუმის მადნის გამოყენების დარგში. ეს სამუშაოები ინსტიტუტმა შეასრულა საქართველოს სსრ გეოლოგიური სამმართველოს, ზესტაფონის ფეროშენადნობთა და „აზოვსტალის" ქარხნების დახმარებით.

აღსანიშნავია აგრეთვე ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის სამთო განყოფილებისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის მადნეულის საბადოთა დამუშავების კათედრის კოლექტივის მიერ ჭიათურის მაღაროებსა და ტყიბულის შახტებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის გ. წულუკიძის კონსტრუქციის გადასატანი სამაგრის წარმატებით დანერგვა.

ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტში კადრების ზრდა სწრაფად მიმდინარეობდა. თუ 1947 წლის დასაწყისში ინსტიტუტში მუშაობდა ხარისხის მქონე 13 მეცნიერი თანამშრომელი, ამჟამად ხარისხის მქონე 26 მეცნიერი მუშაკი გვყავს. დისერტაციების დაცვა შესაძლებელი გახდა ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომელთა მიერ ცოდნის დაუფლებისა და ორიგინალურ გამოკვლევათა შესრულების შედეგად.

ამით სრულიადაც არ მინდა ვთქვა, რომ ჩვენს მუშაობაში ნაკლი არ იყოს. შევეხები ერთ საკითხს. ეს არის მეცნიერ თანამშრომელთა შორის დისციპლინის განმტკიცებისა და ინსტიტუტებში კოლექტიური საკვლევი სამუშაოების შესრულებისათვის თვითეული მონაწილის პასუხისმგებლობის გაზრდის საკითხი. ამ საქმეში დიდი დადებითი როლის შესრულება შეუძლიათ საკვლევ დაწესებულებათა და უმაღლესი სასწავლებლების პირველად პარტიულ ორგანიზაციებს.

სოციალისტური მრეწველობის მიერ საკვლევ დაწესებულებათა წინაშე წამოყენებული რთული საკითხების გადაჭრა შეუძლებელია ცალკეული მეცნიერი მუშაკის ინდივიდუალური ძალებით. საკითხი ისმის არა მარტო ორი-სამი ამხანაგის კოლექტიურ მუშაობაზე, არამედ მთელი განყოფილების, მთელი დაწესებულებისა და ხშირად რამდენიმე სამეცნიერო და საწარმოო დაწესებულების ერთობლივი მუშაობის შესახებ.

ჩემი აზრით, ამ მხრივ სამეცნიერო საბჭოების მუშაობაში საჭიროა გარკვეული გარდატეხა: ერთი მხრივ გაძლიერდეს მომთხოვნელობა დისერტანტებისადმი და მეორე მხრივ — სამეცნიერო გეგმების დამტკიცებისას მოხდეს თემატიკის კონცენტრაცია სახალხო მეურნეობისათვის აქტუალური ძირითადი პრობლემების ირგვლივ.

მე, ისევე როგორც მეცნიერების დარგში მომუშავე სხვა ამხანაგებს, რომლებიც აქ ესწრებიან, განსაკუთრებით ღრმად ჩამწვდა გულში მომხსენებლის სიტყვა ქართველ მეცნიერთა ურთიერთობაში არსებული ნაკლის შესახებ. ამ ნაკლის გამოსწორება უთუოდ დაგვეხმარება მუშაობის გაუმჯობესებაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია ყველაფერს გააკეთებს თავისი მუშაობის გასაუმჯობესებლად, ნაკლის აღმოსაფხვრელად და ღირსეულად შეასრულებს პარტიისა და ხელისუფლების მიერ მის წინაშე დასახულ ამოცანებს.

ამხ. თ. ქვლივიძის სიტყვა

(საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი)

ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა გააძლიერეს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, მიაღწიეს ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის დავალებათა ვადამდე განაღდებას. ამაში დიდი როლი შეასრულა პარტიულ კრებებზე, პარტიული ბიუროების სხდომებზე, პარტიული და სამეურნეო აქტივის თათბირებზე პარტიული და სამეურნეო მუშაობის საკითხების განხილვამ.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმებსა და საქალაქო თათბირებზე განხილული იყო ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა „სამრეწველო საწარმოების 1949 წლის პირველი ნახევრის მუშაობის შედეგები", „მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა თანამეგობრობა", „ლითონის ჩქაროსნული ჭრის მეთოდების დანერგვა ქალაქის საწარმოებში", „სამრეწველო საწარმოების პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამოცანები ტექნიკის მიღწევების პროპაგანდის გაუმჯობესებაში", „კონვეიერის გაუჩერებელი მუშაობის იმ მეთოდის გავრცელება, რასაც იყენებს ლ. პ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მექანიკოსი ამხ. ნიკოლაიშვილი" და სხვ.

ამ საკითხების განხილვამ აამაღლა საწარმოთა კოლექტივების პასუხისმგებლობა მოწყობილობის უკეთ გამოყენებისათვის, ნედლეულისა და მასალების ხარჯვისათვის, გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და საწარმოთა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის.

მნიშვნელოვნად გაძლიერდა მუშაობა კადრების შერჩევისა და განაწილების დარგში. მეტი წილი ამხანაგები, რომლებიც ამ უკანასკნელ დროს წამოყენებული არიან პარტიულ და სამეურნეო სამუშაოზე, წარმატებით ართმევენ თავს დაკისრებულ საქმეს.

ქალაქის მოწინავე საწარმოების — კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკისა და ბევრი სხვა საწარმოს პარტიული ორგანიზაციები უნარიანად ახამებენ პარტიულ და სამეურნეო მუშაობას, განუწყვეტლივ ზრუნავენ მუშების, სპეციალისტების და მოსამსახურეების იდეური დონის ამაღლებისათვის, აუმჯობესებენ მათს კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებს და მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებებს საწარმოო გეგმების შესრულებაში.

მაგრამ ზოგიერთი ქარხანა და ფაბრიკა ჯერ კიდევ ვერ ასრულებს საწარმოო დავალებებს. ამ საწარმოების ჩამორჩენა გამოწვეულია, კერძოდ, იმითაც, რომ საქალაქო კომიტეტი მათს პარტიულ ორგანიზაციებს საკმაო დახმარებას ვერ უწევდა. ეს შეეხება, კერძოდ, ლოკომოტივსარემონტო ქარხნის პარტიულ ორგანიზაციას, სადაც პარტიული კრებები ზოგჯერ მშრალ, ფორმალურ ხასიათს ატარებს, და მიღებული გადაწყვეტილებანი ყოველთვის როდი სრულდება. მთელი გასული წლის მანძილზე აქ არ ყოფილა არც ერთი ღია პარტიული კრება. მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სუსტად არის დაყენებული. პარტიული ორგანიზაცია საჭირო ყურადღებას არ აქცევს მუშების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხებს.

ასეთივე ნაკლოვანებებით ხასიათდება ლ. პ. ბერიას სახელობის და № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკების, წისქვილკომბინატისა და მთელი რიგი სხვა საწარმოების პარტიული ორგანიზაციების მუშაობა.

ბევრი პარტიული ორგანიზაცია საკმაოდ არ იხილავს ადგილობრივ საკითხებს. ეს იმით აიხსნება, რომ პარტიული კრებების დღის წესრიგი გადატვირთულია რეკომენდებული საკითხებით.

ამ უკანასკნელ დროს მნიშვნელოვნად გაძლიერდა ქალაქის სამეცნიერო ორგანიზაციების დახმარება სამრეწველო საწარმოებისადმი. სახელმწიფო უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის, თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის, ლითონისა და სამთო საქმის, ქიმიის ინსტიტუტებისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორები და მეცნიერი მუშაკები დადიან სამრეწველო საწარმოებში, ხვდებიან სტახანოველებსა და წარმოების ნოვატორებს, ეხმარებიან მათ მთელი რიგი პრაქტიკული საკითხების მეცნიერულ დამუშავებაში, წარმოების ახალი მეთოდების გამოყენებაში, პოპულარული ბროშურების გამოცემაში და სხვ.

მიუხედავად ამისა, ამ დარგშიც ცოტა როდია სერიოზული ნაკლოვანებანი. მათგან ძირითადია ადგილობრივი ნედლეული რესურსებისა და მსხვილ სამრეწველო საწარმოთა ნარჩენების არასაკმაოდ შესწავლა მათი რაციონალური გამოყენების მიზნით, წარმოების ნოვატორთა წინადადებების არასაკმაოდ ღრმად დამუშავება და მათი არა თავის დროზე შესრულება.

ამ ნაკლოვანებებს თავიდან ავიცილებდით, რესპუბლიკის სამინისტროებთან მოწყობილი რომ იყოს ტექნიკური საბჭოები, რომლებშიც ჩაბმული იქნებიან მეცნიერი მუშაკები და წარმოების მოწინავენი.

ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მთელ რიგ საწარმოებში, სამედიცინო ზეთების ქარხანაში, ცელულოზის ფაბრიკასა და ზოგიერთ სხვა საწარმოში ჯერ კიდევ დაბალია წარმოების კულტურა, მოწესრიგებული არ არის პირველადი აღრიცხვა, დიდია ნედლეულისა და მასალების ხარჯვის გეგმით გათვალისწინებული ნორმები, მუშებს არ ეძლევათ განრიგები შესასრულებელ სამუშაოზე.

ზოგჯერ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო საწარმოებს აძლევს არასაკმაოდ დასაბუთებულ გეგმებს, რის შედეგადაც წლის განმავლობაში საჭირო ხდება წარმოების პროფილის შეცვლა.

წარმოების კულტურის, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ცოდნის დონის შემდგომი ამაღლების, აგრეთვე ტექნიკის მიღწევებისა და სტახანოვური შრომის ახალი მეთოდების პროპაგანდის გაძლიერების ინტერესები მოითხოვენ რესპუბლიკაში ტექნიკის სახლის გახსნას.

პარტიის ახლად არჩეულმა თბილისის კომიტეტმა უნდა გაითვალისწინოს ყოველივე ეს, გააძლიეროს სამრეწველო საწარმოების პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა, დაეხმაროს მათ.

ამხ. ს. ჭილაიას სიტყვა

(საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პარტბიუროს მდივანი)

მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებისათვის განსაკუთრებით ძვირფასია მეცნიერებისა და ლიტერატურის წარმომადგენელთა მუშაობის ის მკაცრი, მაგრამ სავსებით სამართლიანი შეფასება, რომელსაც შეიცავს ამხანაგ კ. ჩარკვიანის საანგარიშო მოხსენება. ამასთან დაკავშირებით მინდა საქალაქო პარტიული კონფერენციის ყურადღება შევაჩერო ზოგიერთ საკითხზე.

სამეცნიერო დაწესებულებების პარტიული ორგანიზაციების წინაშე უაღრესად სერიოზული ამოცანებია დასახული. ამ ამოცანათაგან მთავარია მეცნიერთა კადრების შეიარაღება მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ცოდნით, მათი იდეური და პოლიტიკური აღზრდა.

პარტიული განათლების საკითხები ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში დგას. თვითგანათლებაზე მომუშავეთა დასახმარებლად პარტორგანიზაციამ გამოჰყო კონსულტანტები, აწყობს ლექციებს, მოხსენებებს. მაგრამ ჩვენი მუშაობის შედეგები არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს, თუნდაც იმიტომ, რომ ცალკეულ მეცნიერ მუშაკთა შორის, როგორც ამხანაგმა ჩარკვიანმა აღნიშნა, არაჯანსაღი ურთიერთობა დამყარდა.

ჩვენი პარტიული ორგანიზაცია 160-მდე კომუნისტს აერთიანებს. ესენი არიან ძირითადად მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები, წევრი-კორესპონდენტები, დოცენტები და ასპირანტები. ზოგიერთ მათგანს თავისი თავი ამა თუ იმ თეორიის ფუძემდებლად, ამა თუ იმ სკოლის მეთაურად მიაჩნია და ფიქრობს, რომ მოწოდებულია გადაწყვიტოს მეცნიერების ბედი და ამიტომ ცდილობს თავისი თავი ჩააყენოს განსაკუთრებულ, პრივილეგიურ მდგომარეობაში. მეცნიერებათა აკადემიის პარტიული ორგანიზაცია გადაჭრით ებრძვის ასეთ განწყობილებას.

აკადემიის მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ აქ სუსტად არის გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა. პარტიულმა ორგანიზაციამ დღემდე ვერ შეძლო თავის გავლენაში მოექცია ყველა სამეცნიერო დაწესებულებისა და ინსტიტუტის მუშაობა. ვფიქრობ, ეს არის მეცნიერული მუშაობის ყველა ნაკლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. ნაკლოვანებათა ნამდვილი კრიტიკის ნაცვლად ხშირია კინკლაობა, რაც არაჯანსაღი ურთიერთობის შედეგია. ამის მაგალითია მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში შექმნილი მდგომარეობა.

1950 წელი საბჭოთა ენათმეცნიერების ისტორიაში შევა როგორც გადამწყვეტი გარდატეხის წელი. საბჭოთა ენათმეცნიერებაში დაიწყო ახალი, სტალინური ეტაპი. ამხანაგმა სტალინმა მონაწილეობა მიიღო „პრავდის" ფურცლებზე გაშლილ დისკუსიაში და ენათმეცნიერების ძირითადი და ურთულესი საკითხების ბრწყინვალე გადაწყვეტა მოგვცა. აკადემიის პარტიულმა ორგანიზაციამ ენათმეცნიერების საკითხებს მიუძღვნა ღია პარტიული კრება, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა. კრებაზე მკვეთრად აკრიტიკებდნენ შეცდომებსა და ნაკლოვანებებს, რომლებიც ახასიათებდნენ ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებებისა და ინსტიტუტების მუშაობას. განსაკუთრებით სასტიკად იქნა გაკრიტიკებული კომუნისტების — ამხ. გ. ახვლედიანის, ს. ჟღენტის, შ. ძიძიგურის მცდარი პოზიცია, რომლებიც ამ პარტიულ კრებაზე გამოვიდნენ ამხ. ა. ჩიქობავას სავსებით სწორი დებულებების წინააღმდეგ. პარტიულმა კრებამ დაგმო აღნიშნული ამხანაგების საქციელი, მაგრამ მიუხედავად ამისა ამხ. ახვლედიანი განაგრძობს უპრინციპო ბრძოლას ამხ. ჩიქობავას წინააღმდეგ, რაც არანორმალურ პირობებს ქმნის ინსტიტუტის მუშაობისათვის.

საჭიროდ მიმაჩნია შევჩერდე აგრეთვე ქართველი საბჭოთა მწერლების ნაწარმოებთა ენის საკითხებზე. თანამედროვე ქართული ენა, როგორც ამხანაგმა ჩარკვიანმა თქვა, შექმნეს ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და იაკობ გოგებაშვილმა, რომელთა ტრადიციებსაც განაგრძობენ ჩვენი საბჭოთა მწერლები. მაგრამ ამ ტრადიციების წინააღმდეგ გამოდიოდნენ ქართველი სიმბოლისტები და ფუტურისტები, აგრეთვე მწერალი კ. გამსახურდია. მათ დიდი ზიანი მიაყენეს ქართულ ეროვნულ ენას, უპირისპირებდნენ რა მას გაუგებარ არქაიზმებს და ყოველნაირ სიტყვიერ ჯამბაზობას.

სამწუხაროდ, ქართული ენის ეს დამახინჯებანი გვხვდება ზოგიერთი სხვა მწერლის ნაწარმოებებშიც.

ამ მოვლენების წინააღმდეგ გადამჭრელ ბრძოლასთან ერთად ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ აგრეთვე პოეზიაში პრიმიტივიზმის წინააღმდეგ, რაც ახასიათებს ზოგიერთი თანამედროვე ქართველი პოეტის შემოქმედებას, და კერძოდ, ისეთი გამოჩენილი საბჭოთა პოეტის შემოქმედებას, როგორიც შანშიაშვილია.

ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტების წინაშე დიდი და სერიოზული ამოცანები დგას. ამ ინსტიტუტების მუშაკებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ თანამედროვე ლიტერატურული ენის, ჩვენი მწერლების ენის საკითხებს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს მუშაობა ნელა მიმდინარეობს.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების მუშაკები ყველა საჭირო დასკვნას გამოიტანენ ამხანაგ ჩარკვიანის მოხსენებიდან და გადაჭრით აღმოფხვრიან ნაკლოვანებებს თავიანთ მუშაობაში.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 15 იანვარი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის ნაწილები და ჩინელი მოხალისეები სერიოზულ დარტყმებს აყენებენ მოწინააღმდეგეს და კვლავ წინ მიიწევენ ფრონტის ყველა უბანზე. ფრონტის დასავლეთ უბანზე სუვონის (სუიგენი) სამხრეთით მდებარე რაიონში მოქმედ სახალხო არმიის ნაწილებს ძლიერი იერიშები მიაქვთ მოწინააღმდეგის თავდაცვის ხაზზე და დიდ ზარალს აყენებენ მის ცოცხალ ძალას.

კორეის სახალხო არმიის მთავარსარდლობის კომუნიკე

პეკინი, 15 იანვარი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ მოხალისეთა საახალწლო შეტევის დროს ცენტრალურ კორეაში მოკლულ, დაჭრილ და ტყვედ წამოყვანილ იქნა 13.009 ამერიკელი, ინგლისელი და ლისინმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

შეტევის დროს მოკლულ და დაჭრილ იქნა 4.861 ლისინმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და 1.118 ამერიკელი და ინგლისელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ტყვედ წამოყვანილია 6.442 ლისინმანელი ჯარისკაცი და 116 ლისინმანელი ოფიცერი, მათ შორის 36-ე პოლკის მეთაურის მოადგილე და ამ პოლკის შტაბის უფროსის მოადგილე, 35-ე და 36-ე პოლკების უფროსი ამერიკელი მრჩევლები, აგრეთვე 460 ინგლისელი ჯარისკაცი და 12 ინგლისელი ოფიცერი, მათ შორის ...

... ბის შემდეგ ბევრგან გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვის ხაზი და წინ მიიწევდნენ დღეში 15 კილომეტრი სისწრაფით. ისინი გარსშემოერტყნენ და მოსპეს მტრის ჯარები მუნსანში (მუნსანი), იჯონბუში (ვისეიფუ), კაფხენში (კახეი), ჩხუნჩხონში (სიუნსენი).

სდევნიდნენ რა მოწინააღმდეგეს, კორეის სახალხო არმიის ნაწილებმა და ჩინელ მოხალისეთა რაზმებმა გაათავისუფლეს სეული, აგრეთვე ბევრი სხვა ქალაქი, აეროდრომი და საზღვაო ნავსადგური, მათ შორის ინჩონი (ჯიტოხო), კიმფხო (კიმპო), ინჩონი (ჩემულპო), კანხვა (კოკა), სუვონი (სუიგენი), იანფხენი (იოხეი), ხონჩხონი (კოსენი), ხენსონი (ოძიო), ვონჯუ (გენსიუ), იჩხონი (რისენი) და ამრიგად წარმატებით დაამთავრეს საახალწლო შეტევა.

გასული წლის დეკემბერში ინტერვენტების ჯარებმა, რომლებმაც 50.000 ჯარისკაცი და ...

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში

კორეელ ქურნალისტთა საზრდოლო საქმენი

ჩეხოსლოვაკია სოციალიზმის გზაზე

პრაღა, 15 იანვარი. (საკდესი). ასრულებენ რა სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის დავალებებს, ჩეხოსლოვაკიის მშრომელებმა 1950 წელს მოიპოვეს დიდი საწარმოო წარმატებანი. 1950 წელს მთლიანად მრეწველობის გეგმა 102,7 პროცენტით შესრულდა.

ჩეხოსლოვაკიის მრეწველობისათვის განსაკუთრებით ...

ბულგარეთის მოსახლეობის ზრდა

სამხარი მოქმედება ვიეტნამში

იაპონელები მონაწილეობენ სამხარ მოქმედებაში კორეელი ხალხის წინააღმდეგ

„იანკები შინ წადით!“

ავსტრიის საკითხთა სამოკავშირეო საბჭოში

ვენა, 14 იანვარი. (საკდესი). შედგა ავსტრიის საკითხთა სამოკავშირეო საბჭოს მორიგი სხდომა.

სამოკავშირეო საბჭომ განიხილა ავსტრიის ორგანოების მიერ „ნაციონალ-სოციალისტებისადმი მოპყრობის“ კონსტიტუციური კანონის დარღვევის საკითხი.

ამ საკითხზე დისკუსიის მსვლელობაში საბ... მეშაოებსა და გაუმჯობესებულ კვებას. პატიმართა არადამაკმაყოფილებელი დაცვის გამო იყო მათი გაქცევის მრავალი შემთხვევა.

ითვალისწინებს რა, რომ ავსტრიის დენაციფიკაცია სამოკავშირეო კომიტეტის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა, რომელიც ოთხმხრივ საფუძველზე მიღებული საკონტროლო შეთანხმებიდან გამომდინარეობს, საბჭოთა წარმომად...

ინგლისის თავისი ეკონომიკა სამხედრო რელსებზე გადაჰყავს

ოთხი ამერიკელი გენერალი ფოკიოს ჩავიდა

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების ფილიალი რუსთავში

რუსთავი. (საკ. კორ.). მოკლე ხანში ახალ სოციალისტურ ქალაქში გაიხსნება საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების ფილიალი (ქართული და რუსული სექტორები), რომელიც ქალაქის საწარ...

სამეცნიერო სესია

საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში

კომპოზიტორთა კავშირის სახლში

ლექცია

მოხსენება

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნინიძე ...

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

დღეს კინოებში

დღეს თეატრებში